საქართველო
ადგილობრივი თვითმმართველობა
აბაშის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ10.10220597**

თარიღი:**28/02/2022**

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში პროექტების შერჩევის პროცედურების სამუშაო ჯგუფის შექმნისა და ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების განაწილების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პირველი პუნქტის ,,ე.ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის #654 დადგენილების - ,,საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" შესრულების უზრუნველყოფის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სოფლის მხარდაჭერის პროგრამით დასახლებებში ორიექტების შერჩევის პროცედურებთან დაკავშირებით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით და ფუნქციებით;

ა) ირაკლი პერტენავა პირველი მერის მოადგილე, ფუნქციები: პროცესის საერთო ხელმძღვანელობა, ანგარიშგება მერთან;

ბ) გიგლა ჯვარელია - მერის მოადგილე; ფუნქციები: პროგრამის კოორდინაცია, შერჩეული საპროექტო წინადადებების განხილვა და მერისათვის წინადადებების მომზადება, საკრებულოში წარსადგენი პროექტების საბოლოო ნუსხის პროექტის მომზადება;

გ) გია კუცია მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე, ფუნქციები: სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება, ადგილობრივი სამოქალაქო სექტორის, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართვა პროგრამის განხორციელების პროცესში;

დ) მირზა ქვილითაია - ურბანული განვითარების განყოფილების უფროსი, ფუნქციები: საპროექტო წინადადებების წარდგენის პროცესში სამსახურის მიერ მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებებისას – მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავება, საპროექტო წინადადებების ნუსხის ფორმირება დასახლებების მიხედვით;

ე) თეიმურაზ ნოდია, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, ფუნქციები: პროცესის წარმართვისათის საჭირო თანხების მობილიზაციის წინადადებების მომზადება, საპროექტო წინადადებების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების საკითხების განხილვა;

ვ) დიმიტრი ცანავა, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ფუნქციები: ადმინისტრაციულ ერთეულებში მერიის წარმომადგენლებთან ურთიერთობა, მათი ინფორმირება და საერთო კრებების/კონსულტაციების ჩატარების ორგანიზება, მეტერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით;

ზ) დათო თოფურია - მუნიციპალური ქონებისა და ადგილობრივი მოსაკრებლის განყოფილების უფროსი, ფუნქციები: მოქალაქეთა კონსულტირება, საჭიროებებისას – მერიის მიერ საპროექტო წინადადებების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება (უძრავი ქონების კუთვნილების დადგენა);

თ) ვერა ჯიბლაძე, ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების უფროსი. ფუნქციები: მუნიციპალიტეტის ვებ-საიტზე ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება, მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის Fვებ-გვერდის, ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის მეშვეობით, მერიის წარმომადგენლების მხარდაჭერა საინფორმაციო კამპანიის დასახლებებში წარმართვისათვის;

ი) გელა ზაქარაია, ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, ფუნქციები: მერის სამართლებრივი აქტების მომზადება, საერთო კრებების ჩატარების პროცესში სამართლებრივი კონსულტირებით მხარდაჭერა;

2. ბრძანება ხელმოწერის ხელმოწერის დღიდან;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სენაკი რუსთაველის ქ # 247) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიგა გაბელაია

აბაშის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი